ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N144

2018 წელი, 20 ივლისი

„იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის“ სახელმწიფო პროგრამის ,,იუვენილური ართრიტით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთათვის ბიოლოგიური პრეპარატებით უზრუნველყოფის'' კომპონენტის ფარგლებში შესყიდული მედიკამენტების (დასახელება,დოზირება) გადახედვის თაობაზე

შეხვედრის ოქმი N1

შეხვედრის მიზანი:

„იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის“ სახელმწიფო პროგრამის ,,იუვენილური ართრიტით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთათვის ბიოლოგიური პრეპარატებით უზრუნველყოფის'' კომპონენტის ფარგლებში შესყიდული მედიკამეტების (გენერიული დასახელების) და გაცემის წესის გადახედვა.

შეხვედრას ესწრებოდნენ,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან:

ეკატერინე ადამია – საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და პროგრამების სამმართველოს უფროსი;

თეა თავიდაშვილი – საზაოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და პროგრამების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან:

ირინე გობეჯიშვილი - მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;

მოწვეული სპეციელისტები:

მაკა იოსელიანი – საქართველოს პედიატრ–რევმატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს რევმატოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი;

ანა ბოქოლიშვილი – ააიპ ,,იუვენილური ართრიტით დაავადებულ ბავშვთა მშობლების კავშირის" თავმჯდომარე

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

1. კვლავ აქტუალურია თუ არა სრულფასოვანი მკურნალობის ჩატარების მიზნით იუვენილური ართრიტით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა უზრუნველსაყოფად დღემდე შესყიდული ორი დასახელების მედიკამენტი – აქტემრა, ენბრელი და ხომ არ საჭიროებს ჩანაცვლებას, ამოღებას ან ახლის დამატებას.
2. ბოლო წლის განმავლობაში იუვენილური ართრიტით დაავადებულ ბავშვთა ზრდის ტემპის მაჩვენებლიდან გამომდინარე, კომპონენტის ბიუჯეტის სწორი მენეჯმენტის კუთხით, აღნიშნული ბავშვების პროგრამაში რეგისტრაციამდე, წარმოდგენილი ფორმა N IV -100/ა–ების კომისიური წესით განხილვის საჭიროების განსაზღვრა.

შეხვედრის მომენტში გამოკვეთილი საკითხები:

1. იუვენილური ართრიტით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა მედიკამენტებით უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია (აუცილებელია) სახელმწიფოს მხრიდან გაგრძელდეს აქტემრას და ენბრელის შესყიდვა და ასევე პროგრამულად ხელმისაწვდომი გახდეს მესამე სახის მედიკამენტი – ადალიმუმაბი, რომელიც გამოიყენება იუვენილური ართრიტით დაავადებულ იმ ბავშვებში, რომელთა მკურნალობაში აქტემრა და ენბრელი უშედეგოა/წინააღმდეგნაჩვენებია. დღეის მდგომარეობით საქართველოში არის ასეთი კატეგორიის 3 ბავშვი, რომლებსაც ვერ უტარდებათ სათანადო მკურნალობა.
2. ვინაიდან იუვენილური ართრიტით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა რიცხვი მზარდია და დღის წესრიგშია ადალიმუმაბის შესყიდვა, კომპონენტის ბიუჯეტის სწორი მენეჯმენტის მიზნით მიზანშეწონილია მედიკამენტების გაცემა დაიწყოს პაციენტებზე კომისიური წესით, სადაც დეტალურად განიხილება თითოეული პაციენტის ისტორია, მედიკამენტის სახეობა და დღური დოზები, რაც თავიდან აგვაცილებს წამლის გადახარჯვის საკითხს.
3. 2019 წლის ბიუჯეტის განსაზღვრის მიზნით, გადაიხედოს შესაყიდი მედიკამენტების რაოდენობები, პაციენტთა წლიური ნამატის, მედიკამენტის სახეობის და დოზის გათვალისწინებით.

მსჯელობის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება:

1. გადაიდეხოს პროგრამაში რეგისტრირებული ყველა ბენეფიციარის ფორმა N IV -100/ა (სულ 53 პაციენტი)
2. ექსპერტების მიერ შემუშავდეს შესაბამისი კრიტერიუმები, რაც საშუალებას მისცემს კომისიის წევრებს იმსჯელონ დაავადებაზე და გამოიტანონ სწორი დასკვნები

3. საკითხზე შემდგომი მსჯელობის და ფორმა N IV -100/ა–ების გადახედვის მიზნით მოწვეულნი იქნენ ნინო ჟვანია და მაია ლეკიშვილი და შემდგომი შეხვედრა ჩაინიშნოს ა/წ 20 აგვისტომდე.
4. გადაწყვეტილების მიმღებს წარედგინოს ექსპერტების წინადადება პროგრამის ფარგლებში მედიკამენტ ადალიმუმაბის შესყიდვის თაობაზე, შესაბამისი გათვლებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა დასრულდა და გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

ეკატერინე ადამია

თეა თავიდაშვილი

ირინე გობეჯიშვილი

მაკა იოსელიანი

ანა ბოქოლიშვილი